

შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

ნინო ხაჩიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

{თბილისი, 2018}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლოის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 400019948

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგში -ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N774 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს თეა ლილუაშვილი (ჯგუფის თავჯდომარე) და ნინო ხაჩიძე (ჯგუფის წევრი) დაევალათ შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯიდან (შემდგომში კოლეჯი) 2018 წლის 21 აგვისტოს შემოსული N1 (ცენტრში რეგისტრაციის N 1029524) კორესპონდენციის შესწავლა და 2018 წლის 28 ივნისს ცენტრში შემოსული N 829036 წერილით წარმოდგენილი შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნაში ასახული ხარვეზების აღმოფხვრის შემოწმება(არაგეგმიური მონიტორინგი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N12 ოქმი და შპს საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი 2018 წლის 21 აგვისტოს კორესპონდენცია და თანდართული დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

{თბილისი, 2018}

წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები -1.4 ქვესტანდარტი	**კოლეჯიდან გამოთხოვილი მასალების შესწავლისას გამოვლენილი გარემოებები**
დაწესებულება საკუთარი რეგულაციით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურას. კერძოდ დარღვეულია დირექტორის 2016 წლის 12 ივნისის N მ/3 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-17 მუხლის მოთხოვნა; არ არსებობს სტუდენტთა განცხადებები სტატუსის მოპოვების შესახებ; სპეციალური კომისიის მისი საოქმო დადგენილება, რომლითაც კოლეჯის დირექტორს კომისია რეკომენდაციას გაუწევდა საბუთების ანალიზის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტების შესაბამის პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.	დაწესებულებამ ცენტრში გამოაგზავნა განახლებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებაში ცვლილების შეტანის აქტი და განახლებული დოკუმენტის ბმული. (იხილეთ დანართი N1) მარეგულირებელ დოკუმენტში შეიტანა ცვლილება (კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს N1 ბრძანებით) და პროცედურულად გაიწერა, თუ როგორ განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება. შესული ცვლილებების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება <u>განხორციელდება</u> შემდეგნაირად: წარმოდგენილი საბუთების ანალიზის და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით იქმნება მიმღები კომისია, რომელიც საბუთების ანალიზისა და პროგრამებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ აპლიკანტთა სიას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. პირი ჩარიცხულად ითვლება დირექტორის მიერ ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის დღიდან და ხელშეკრულების გაფორმებიდან. წარმოდგენილ კორესპონდენციაში დაწესებულება განმარტავს, რომ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ჩარიცხავს პროფესიულ სტუდენტებს 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წლის საშემოდგომო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	მიღებიდან დაწესებულება აღარ აწარმოებს ოქმს. კორესპონდენციაში ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზთან დაკავშირებით <u>დაწესებულება გამოგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ კომისიის გადაწყვეტილება საოქმო დადგენილების სახით არ არსებობდა. (იხილეთ დანართი N2)</u>
დაწესებულება არ აკმაყოფილებს N060451 პროფესიული სტანდარტით დადგენილ ჩარიცხვის წინაპირობას. კრიმინილისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულია პირი 16 წლის ასაკამდე, რომელსაც მინიჭებული აქვს პროფესიული კვალიფიკაცია და დაწესებულების მიერ გაცემულია პროფესიული დიპლომი.	კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) პროფესიულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დარღვევასთან დაკავშირებით დაწესებულება გამოგზავნილ წერილში განმარტავს, რომ ეს იყო ერთეული შემთხვევა და აღნიშნულის გამო თანამდებობიდან გაანთავისუფლეს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი. <u>(იხილეთ დანართი N2)</u>
დაწესებულება არღვევს დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებს, კერძოდ არასრულწლოვან სტუდენტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა და ხელმოწერის გარეშე.	დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება მარეგულირებელ დებულებაში და შესული ცვლილების შესაბამისად, არასრულწლოვანი სტუდენტის შემთვევაში ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს პროფესიული სტუდენტის კანონიერმა წარმომადგენელმა. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში შესული ცვლილებები ქმნის მექანიზმს მსგავი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. დაწესებულებამ უზრუნველყო 2018 წელს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე კანონიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	წარმომადგენლის თანხმობის მიღება და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს დაამატა არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელს აწერს კანონიერი წარმომადგენელი, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ხელშეკრულების ნიმუშით (დანართი N3) და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლით (დანართი N4).

დაწესებულებამ 1.4 სტანდარტში გამოასწორა ის ხარვეზები, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელი იქნებოდა.

წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები - 2.5 ქვესტანდარტი	**კოლეჯიდან გამოთხოვილი მასალების შესწავლისას გამოვლენილი გარემოებები**
დაწესებულება არღვევს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ საქმისწარმოების წესს. კონკრეტულად, გამოვლენილია ბრძანებების, ასევე აპლიკანტთა განაცხადების და ხელშეკრულებების დათარიღების, რეგიტრაციაში გაუტარებლობის შემთხვევები.	დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების განცხადებების ნიმუში (დანართი N5) , რომლებსაც მინიჭებული აქვს თარიღი და გატარებულია შემოსული კორესპოდენციის ჟურნალში. ასევე წარმოდგენილია ამავე აპლიკანტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც დანომრილია, დათარიღებულია და გატარებულია ჟურნალში. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტებთან დაკავშირებული შემოსული კორესპონდენციის (2016 და 2017 წლების (იხილეთ დანართი N6) და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების (2018 წლის) (იხილეთ დანართი N7) ჟურნალების ასლი. წარმოდგენილი ჟურნალები გადანომრილი და ზონარგაყრილია. დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანა საქმისწარმოების წესში და განახლებული წესის შესაბამისად დახურავს ძველ ჟურნალებს და დაიწყებს ახალი სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოებას,რაც დასტურდება ცენტრში წარმოდგენილი ჟურნალების ასლებით და საქმისწარმოების წესით (იხილეთ დანართი N8).

დაწესებულებამ 2.5 სტანდარტში დაფიქსირებული ხარვეზები აღმოფხვრა.

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა მონიტორინგის დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახული რეკომენდაციები. კერძოდ:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ დაწესებულამ გააფორმა თანხმობის ფურცლები პერსონალთან, რომლითაც იღებს თანხმობას მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

- დაწესებულებამ უზრუნველყო შინაგანაწესის თანამშრომლებისთვის გაცნობა. წარმოადგენილია ხელშეკრულების ნიმუში, რომელსაც დაემატა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი: „გაცევანი დაწესებულების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას, დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და მისი სტრატეგიული განვითარების შესახებ, ასევე დაწესებულებაში მოქმედ სამართლებრივ აქტებს. ვიზიარებ და ვეთანხმები მათ შინაარსს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით“.

- მარეგულირებელ დებულებაში გაწერილია ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აქვე უნდა აღინიშნოს , რომ დაწესებულებას ასევე მიცემული ჰქონდა რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტების საკონტაქტო ინფორმაცია სწორად და ზუსტად აესახა , როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათ პირად საქმეებში, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში. წარმოდგენილ კორესპონდენციაში <u>დაწესებულება განმარტავს, რომ საკონტაქტო ინფორმაცია მოწოდებულია თავად პროფესიული სტუდენტების მიერ და მის სისწორეზე დაწესებულებას უჭირს პასუხისმგებლობის აღება და სამომავლოდ საინფორმაციო სისტემის ბაზაში ასახავს მშობლის საკონტაქტო ინფორმაციასაც.</u>

დაწესებულებამ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში ასახა 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები ინფორმაციის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში ასახვასთან დაკავშირებით.

დანართები:

დანართი N1 - საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში ცვლილების აქტი
დანართი N2 - კოლეჯის 1029524 კორესპონდენცია
დანართი N3 - არასრულწლოვან სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში
დანართი N4 - კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
დანართი N5 - პროფესიული სტუდენტის განცხადებების ნიმუში
დანართი N6 – სტუდენტებთან დაკავშირებული შემოსული კორესპონდენციის ჟურნალები
დანართი N7 - პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებების ჟურნალი
დანართი N8- საქმისწარმოების წესი

04.09.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------